

დონ კიხოტი

მიგელ დე სერვანტეს საავტორო

ნაწარმოებების მიხედვით

მოქმედი გმირები

ალონსო კიხანა, ლამანჩელი აზნაური - რაინდობაში დონ კიხოტი

სანჩო პანსა - ლამანჩელი გლეხი

ქალი - ჰერცოგინია, დონ კიხოტისთვის დულსინეა ტობოსელი

ანდრესი - ბავშვი

როსინანტი - ჯაგლაგი, განთქმული წინაპრების უკანასკნელი შთამომავალი

ვირი - ვირი, სანჩო პანსა რუხს ეძახის

მაესტრო პედრო - თეატრის დირექტორი, ორკესტრის ხელმძღვანელი

გუნდი, ქორო, მსახიობები

ლომი

სასტუმროს მეპატრონე

სასტუმროს მეპატრონეს ცოლი

ბოროტი გლეხი

დიდგვაროვანი

ინკვიზიტორი

კარასკო - მეცნიერი, დონ კიხოტის ოპეკუნე, სალამანკას უნივერსიტეტის სწავლული

ქარი, წვიმა, ვარსკვლავები, ცეცხლი, მთვარე, წყალი

პროლოგი

ხმები - იგი გაგიჟდა, ეს ადამიანი, საკუთარი ფანტაზიების ტყვეობაშია!

ხმები - არარსებობს უკეთესი გამართობი, ვიდრე მეამიტი და სულელი მასხარა!

ხმები - კაპიკია თქვენი ფიცის ფასი!

ხმები - ნეტავ ვინ შთაგაგონა, რომ მოხეტიალე რაინდი ბრძანდები?!

ხმები - ეს სიგიჟეა! ეს სიგიჟეა! სიგიჟეა!

ხმები - მადლობა თქვი, რომ თვალები არ დაგთხარე და ეგ შენი ენა არ ამოგაძრე მაგ უკბილო პირიდან!

ხმები - მისი ავადმყოფობა - სიგიჟის რანგში აყვანილი იდეალიზმია, და მე ვიცი, როგორ განვკურნო ეს სენი!

ხმები - ერეტიკოსო! ვინ მოგცა უფლება, იხეტილო და პატივსაცემი ადამიანები შეამინო?! რაინდი კი არა, ერეტიკოსი ხარ!

ხმები - ფანტაზია, რომელიც მრწამსად იქცა, უკიდურესად სახიფათოა! ხოლო შეიარაღებული ფანტაზია კატასტროფის ტოლფასია! შეიარაღებული ფანტაზია კატასტროფის ტოლფასია! შეიარაღებული ფანტაზია კატასტროფის ტოლფასია!

ქალი - ...თუკი ბოროტებამ შენს გულში სამუდამოდ დაისადგურა, თუკი უარყავი სიკეთე და სიყვარული, რაც უზენაესმა გვიბოძა და რითაც გვატარებს ამ წყვილადში, თუკი სხვა ადამიანებში მხოლოდ სიბოროტეს და სიბნელეს ხედავ, ვინაიდან საკუთარ ანარეკლში ხედავ მხოლოდ და მხოლოდ იგივეს, არაფერს, თუკი უარყავი სიცოცხლე და არსებობად აქციე ეს ყოფიერება... მაგრამ თუკი შენს გულში იპოვი იმ ნათელს, რომელიც მოგანიჭებს ძალას ბოროტებას ებრძოლო, უიმედობით დაავადებულები განკურნო, დაე შეგრაცხონ გიჟად, სიკვდილის პირას მისულმა ერთგული დარჩე შენი აღქმისა, არ დანებდე და არ დაკარგო რწმენა, შეიყვარო ადამიანი, შეიყვარო ისეთი, როგორც ის შექმნა უზენაისმა, გწამდეს მარადიული სიყვარულის, მაშინ!..

ალონსო კიხანას ოთახი. „პანაშვიდი“

„მე მინახავს ცხოვრება ისეთი, როგორიცაა სინამდვილეში - ტანჯვა, სიღატაკე, შიმშილი, უკიდურესი სისასტიკე...“

„ქვეყანა სავსეა ბოროტი ურჩხულებით და თქვენ მათ ყოველდღე ხვდებით, ყოველდღე ესალმებით, საუბრობთ მათთან...“

„მე ჯარისკაცი ვიყავი და მინახავს, როგორ იღუპებოდნენ ჩემი მეგობრები სასაკლაოზე, ან ტყვეობაში ესალმებოდნენ სიცოცხლეს.“

საბრალო, საბრალო ალონსო კიხანა...

კარასკო - საბრალო ალონსო კიხანა... გაგიჟდა... ეს გაგიჟებული ადამიანი, საკუთარი ფანტაზიების და ოცნებების ტყვეობაშია... საბრალო, საბრალო ალონსო კიხანა...

„სიცოცხლის უკანასკნელ წამებში ყველა მათგანი ცხოვრებას ისეთად ღებულობდა, როგორცაა სინამდვილეში და მათ თვალეში იკითხებოდა ერთადერთი რამ - არა ის, თუ რატომ ემშვიდობებიან სიცოცხლეს, არამედ რატომ იყო მათი ცხოვრება ასეთი უბადრუკი... რატომ?“

გაპარვა სახლიდან

სანჩო პანსა - ბატონო... ჩემო ბატონო... მე ვარ, ბატონო, ჯანდაბა ჩემ თავს. მე ვარ - სანჩო პანსა!..

დონ კიხოტი - სანჩო, საიდუმლო ნიშნით რატომ არ შემატყობინე შენი მოსვლის შესახებ?

სანჩო პანსა - სამჯერ მოგეცით ნიშანი, ბატონო. მაგრამ ეტყობა იმ წყეულმა ჯადოქარმა, ვისზეც თვენ გამუდმებით საუბრობთ, დაგაყრუვათ.

დონ კიხოტი - აქ არის?! ძმაო სანჩო, თუ ხვდები, რომ შენი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა?! ო, წყეულო ბოროტება! მიფრთხილდი, სულ მალე შენზე გამარჯვებას ვიზიემებ! კიდევ კარგი, სანჩო, რომ სამხედრო ეშმაკობას მიმართე და ჯადოქართან ბრძოლაში არ შეხვედი! დაიმახსოვრე, ყველაზე მამაცმა მეომარმაც კი გამოუვალ მდგომარეობაში, საკუთარი თავი უკეთესი შემთხვევისათვის უნსდა შეინახოს! მაშ ასე, სანჩო, თანახმა ხარ თუ არა, გახდე ჩემი საჭურველთმტვირთველი და ყველა ჩემი გასაოცარი თავგადასავლის თანამონაწილე გახდე? მეგზურობა გამიწიო და მსოფლიო მოიარო ჩემთან ერთად?

სანჩო პანსა - თანახმა კი ვარ ბატონო, მაგრამ... აი როგორ გითხრათ... თქვენზე ამბობენ კვდებაო...

დონ კიხოტი - ჩემო მეგობარო, ყველანი სიკვდილის შვილები ვართ, მაგრამ განა რა არი სიკვდილი, ან მისმა მოლოდინმა როგორ უნდა შეგაჩეროს, როდესაც ამდენი დიადი საქმე გველის?! წინ გვაქვს უამრავი გამარჯვება, უმშვენიერესი მანდილოსნების ტრფიალი, გოლიათების დამარცხება და ჩვენი სახელების სამარადჟამო აღბეჭდვა მეტეანის ფურცლებზე!

სანჩო პანსა - ოხ, რა კარგათა თქვით, ბატონო!.. მაშ, რა გაეწყობა, თანახმა ვარ ბატონო... თანაც, იმედი მაქვს, დანაპირებს შემისრულებთ და თქვენს მიერ დაბყრობილი ერთ ერთი კუნძულის გუბერნატორად დამნიშნავთ.

დონ კიხოტი - რას ამოვ, სანჩო! რაინდის სიტყვებში, არასდროს შეიტანო ეჭვი!..

სანჩო პანსა - მესმის სენიორ, მაგრამ ხომ იცით, პატარა კაცს, მზეც გრილად ანათებს და ვლელავ, ისევ მშრალზე არ დარვრჩე...

დონ კიხოტი - დამიჯერე, ჩემო მეგობარო, ზოგ ერთგულ მსახურს, რაინდები, მთლიანი სამეფოების მმართველებად ნიშნავდნენ და სხვათაშორის ასეთი სამეფოს დაბყრობა, მეც მაქვს განზრახული და ვინაიდან მე პირადად ის არაფერში მჩირდება, მე მას, შენ გიბოძებ.

სანჩო პანსა - რას ბრძანებთ, ბატონო! ჩვენ პანსოები, სამყაროს დასაბამიდან ჩვენი ერთგულებით ვიყავით განთქმულები! ისე, ალაღად რომ გითხრათ, სამეფოს მბრძანებლობა არასოდეს მინდოდა, შარიანი ამბავია, აი გუბერნატორობაზე კი ყაბულსა ვარ!

დონ კიხოტი - რადგან შეთანხმებას მივალწიეთ, გზას გავუდგეთ. დრო არ ითმენს! მუზარადი მომაწოდე, ჩემო ერთგულო მეგობარო!

სანჩო პანსა - ეეს? ეგ რა მუზარადი ბატონო, დალაქის საპარსი ჭურჭელია.

დონ კიხოტი - მისმინე, სანჩო, მოხეტიალე რაინდთა ყოველი ნივთი, აბჯარი იქნება ეს, იარაღი თუ სხვა რამ, გვესახება განსხვავებული ფორმით და იერით, მთავარია საგანთა არსი შეიცნო და არ იმსჯელო მითზე გარეგნობის მიხედვით.

სანჩო პანსა - გასაგებია, ბატონო... გავიგე.

დონ კიხოტი - ჩემო დიდებულო რაშო, ჩემო როსინანტო! გული მიგრძნობს, დიადი საქმენი შენი იმდენად ამაღლებულნი იქნებიან, რამდენადაც ბოროტმა ბედისწერამ ამ სიდიადის დაგემოვნების სიამომოვნებას აგაცილა. იარე, იარე ამაყად, ვინაიდან ვერც ერთი რაინდის ერთგული ცხენი ვერ შეგედრება შენ ვერც სიმარდით, ვერც მამაცობით, ვერც სიდიადით!

სანჩო პანსა - ეჭვი, რუხო, ჩემო ძმაო! იმედია, შენი გაძვალტყავებულო ფეხები გუბერნატორის ტახტამდე მიმიყვანენ! გაექანე! წავედით?!

დონ კიხოტი - მაშ, წავედით! ლელილიეს!

სანჩო პანსა - ლელილიეს!

ინტერმედია. როსინანტისა და რუხის გაპარვა

გაქცეულები და მღევრები

ხმები - გაიპარა! სენიორ კიხანა გაიპარა! გაიპარა სენიორ კიხანა! გაიპარა კიხანა, სენიორ! სენიორ, სენიორ, გაიპარა, გაიპარა!

კარასკო - ბატონებო, ყველას გვესმის, რომ სენიორ კიხანა საღ გონებაზე არაა. ამ საქციელით, ალონსო კიხანამ მხოლოდ ავნო საკუთარ თავს, იგი ვნებს საზოგადო წყობილებას, გვნებს ჩვენ! ბატონებო, ეს გამოწვევა უნდა მივიღოთ!.. აბა წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თუკი ყველამ გადაწყვიტა რაინდობა და ბოროტებასთან შებრძოლება!.. მე არ დავუშვებ ქაოსს!

(**ხმები წყდება**)

კარასკო - დამოჯერეთ, ბატონებო, იგი ავადაა. მისი ავადმყოფობა - სიგიჟის რანგში აყვანილი იდეალიზმია, და მე ვიცი, როგორ განვკურნო ეს სენი! ვფიცავ, რადაც არ უნდა დამიჯდეს, დავაბრუნებ ალონსო კიხანას სახლში!

გზა

დონ კიხოტი - მითხარი ერთი, ძმაო სანჩო, როგორ მოგწონს ჩვენი ამალღებისაკენ მიმავალი გზა?!

სანჩო პანსა - ძალინ კი მომწონს, თქვენო ბრწყინვალეზავ, მაგრამ ეს ჩვენი ამალღებისაკენ მიმავალი გზა ძალიან წააგავს ტობოსოსაკენ სავალს, სადაც წიწილებს ყიდინ იაფად, მაგრამ გული მიგრძნობს სათავგადასავლოდ კი არ მივჩანჩალებთ, იმ თქვენი უნახავი მზერთუნახავის საძებნელად მივდივართ. სენიორ, ტობოსოში ბიძაშვილებში გავიკითხე, მაგრამ დულსინეა იქ ვერ იპოვეს... გაფიცებთ, ბატონო, მართალია ეგ ქალი, თუ მოგონილი?

დონ კიხოტი - არსებობს თუ არა ჩემი დულსინეა, თუ ეს მხოლოდ ჩემი წარმოსახვის ნაყოფია?.. ღირს კი ჩაძიება?.. ჭეშმარიტება ისაა, რომ მე ვხედავ მას, ვხედავ მის ხატებას, ვხედავ ისეთს, როგორიც უნდა იყოს რაინდის მანათობელი ვარსკვლავი და პირნათლად ვემსახურები მას. იგი მიმზიდველია, მაგრამ სპეტაკი, დიდებულია, მაგრამ არა ქედმაღალი, ვნებიანი, მაგრამ კლდემამოსილი... რწმენა, სანჩო, რწმენა აგიხელს თვალებს და შენ კიდევ ბევრ საოცრებებს იხილავ!

სანჩო პანსა - რა საოცრებებს, ბატონო?

დონ კიხოტი - რაინდულს, ჯადოსნურს, ბრძოლებით აღსავსეს!

ქარის წისქვილები

დონ კიხოტი - აგერ, შეხედე, სანჩო! ბედისწერამ გასაოცარი თავგადასავლით დაგვასაჩუქრა! სანჩო! ხედავ ამ შემზარავი გოლიათების უთვალავ ჯარს! მე განძრახული მაქვს, შევებრძოლო მათ და გავანადგურო ისინი! ბოროტობის მოსპობა, ჭეშმარიტებისათვის ბრძოლაა და ეს ღვთის ნების აღსრულებაა!

სანჩო პანსა - გოლიათები სად დაინახეთ, ბატონო! შეჩერდით! ეს გოლიათები კი არა, ქარის წისქვილებია!

დონ კიხოტი - როგორ გეტყობა, სანჩო, რომ თავგადასავლების არაფერი გაგეგება! განზე გადაექ და ილოცე ჩემთვის! ო, ბრწყინვალეო მბრძანებელო ჩემო, დულსინეა ტობოსელო! მოგმართავ და გვედრები, შთამაგონე და გამამლიერე ამ უთანასწორო ბრძოლაში! მიფრთხილდით მხდალო არსებებო, მე ერთი ვარ, თქვენი ლეგიონის წინააღმდეგ! ლელილიეს!

(შებრძოლება. დონ კიხოტი დამარცხდა)

სანჩო პანსა - ხომ გეუბნებოდით, ბატონო, ფრთხილად იყავით. ხომ გეუბნებოდით, დაანებეთ თავი. უტკივარ თავს, ნუ აიტკივებ, ნათქვამია...

დონ კიხოტი - მინდა გითხრა, ძვირფასო სანჩო, რომ ამ ქვენაზე არაფერია უფრო ცვალებადი, ვიდრე საომარი მდგომარეობა. მაგრამ ადრე თუ გვიან ეს ბოროტი ძალები, ჩემი მახვილის რისხვას ვერ გადაურჩებიან. სანჩო, ახლა ჩემთვის ნათელი გახდა, დამარცხების მიზეზი. ბოროტმა ბედისწერამ, ეს გოლიათები ქარის წისქვილებად აქცია, იმისათვის რომ გამარჯვების სტკბოს ნაცვლად, დამარცხების სიმწარე გამეგო.

სანჩო პანსა - გული მიგრძნობს, ბატონო, ხშირად ვიგემებთ ამ სიმწარეს...

ინტერმედია „სევდიანი სიმღერა ალონსო კიხანაზე“

ეს თხრობაა გამვალტყავებულ, გაგიჟებულ ღვთის შვილზეა,
რომელიც ჯურღმულში გაჩნდა. ჯურღმულში, აბა სხვაგან სად?
ჯურღმულში, რომელიც სევდის და უიმედობის სამფლობელოა
ჯურღმულია ჯურღმული, აბა სხვა რა?

ღმერთს არ დავავიწყდებით და გამოგვიგზავნის
მტკიცე სულის პატრონ მოხეტიალ რაინდს
ბოროტებას შეერკინება და დაამარცხებს
არ დააჩაგვრინებს ჩვენს თავს არავის!

მის თავში მოულოდნელი აზრები ტრიალებს,
აზრები, რომელიც აქამდე თავში არ მოსვლია სხვას.
დონ ალონსოს თავი რაინდი წარმოუდგენია, მას სიკეთეზე აბოდეებს

ბოროტებასთან საბრძოლველად აღმართავს ლახვარს

*ღმერთს არ დავავიწყდებით და გამოგვიგზავნის
მტკიცე სულის პატრონ მოხეტიალე რაინდს
ბოროტებას შეერკინება და დაამარცხებს
არ დააჩაგვრინებს ჩვენს თავს არავის!*

*ერთ რაინდს უთვალავი ჯარის ამოჟლეტვა შეუძლიაო
მისი ფანტაზიის წინაშე, გონიერება უძლურია, აბა რა!
ყველაზე უმწიკლო შეყვარებულთა შორის,
ყველაზე მამაცი რაინდი ვინც კი ოდესმე შობა ქვეყანა*

მსახიობებისა და ლომის სცენა

ღონ კიხოტი - გული მიგრძნობს, ძმაო სანჩო, აქ თავგადასავლებში მუხლებამდე შევეტოპავთ, მაგრამ გაფრთხილებ, რა ხიფათიც არ უნდა მემუქრებოდეს, შენ ხმალი არ უნდა იშიშვლო, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი შენ დაინახავ, რომ მე თავს ქაჯები დამესხნენ - დაბალი წოდების მეომრენი. აი ამ შემთხვევაში შენ გემღევა უფლება ჩაერთო ბრძოლაში. ხოლო თუკი თავდასხმელები რაინდები აღმოჩნდებიან, ჩვენი კანონების მიხედვით შენ უფლება არ გაქვს რაიმე სახის დახმარება გამიწიო.

სანჩო პანსა - ამაზე ნუ წუხხართ, ბატონო, თქვენ სიტყვას არ გადავახტები, თანაც ხასითი იმნაირი მაქვს, რომ ჩხუბი და ასეთი რამ, ჩემი საქმე არაა, ხომ იცით. *(გამოჩნდება ეტლი)*

ღონ კიხოტი - ეი, შენ! ვინც არ უნდა იყო, მეეტლე თუ თავად ეშმაკი, შეჩერდი და ახლავე მომახსენე, ვინ ხარ! ამ შენი ეტლით, ვინ მიგყავს და სად?!

დირექტორი - ღმერთო ჩემო, მაყურებელი!.. მოწყალო ბატონებო, ამ ეტლში მოხეტიალე თეატრია მოწყობილი, მე ამ მოხეტიალე თეატრის მმართველი გახლავართ, მასეტრო პედრო.

სანჩო პანსა - ეჰ, ძმობილო, ეს შენი ეტლი ქარონის ნავს უფრო წააგავს ვიდრე ეტლსა.

დირექტორი - ეჰ... ხეტიალმა დაგვაბერა, ჩვენც და ეს ეტლიც, ჩემო ბატონო... მაგრამ, ბედისწერამ აქ შეგვახვედრა და მე ჩემს დასთან ერთად მზად ვართ თქვენთვის რამე პიესა გავითამაშოთ, რათა შეგიმსუბუქოთ მგზავრობა და ცოტათი მაინც გაგახალისოთ, მცირეოდენი ანაზღაურების სანაცვლოდ, რათქმაუნდა.

ღონ კიხოტი - მოხეტიალე რაინდის სიტყვას ვფიცავ, შეგნიშნეთ თუ არა, მყისვე ვიფიქრე, რომ ახალი თავგადასავალი მელის. მობრძანდით ბატონებო, შემოგვთავაზეთ რამე უჩვეულო და განსაკუთრებული, თუ რათქმაუნდა ასეთი პიესები თქვენს რეპერტუარში არსებობს.

დირექტორი - ჩვენს რეპერტუარში, მოწყალეო ბატონო ოცდა ორი კომედიაა, უღვთო ტრაგედიების შესანიშნავი კრებული და ერთი ძალზე უჩვეულო მისტერია! ყველა ახალთახალია, ერთი მეორეზე უკეთესი! გარწმუნებთ, ბატონო, რომ ჩემი მოხეტიალე თეატრი მსოფლიოში ერთ ერთი გასაოცარი რამაა და თუკი ჩემი სიტყვების არ გჯერათ, ჩვენი წარმოდგენა ამაში თავად დაგარწმუნებთ, მცირეოდენი ანაზღაურების სანაცვლოდ, რათქმაუნდა...

დონ კიხოტი - მინდა მოგახსენოთ ბატონებო, რომ თეატრმა და მსახიობობამ ბავშვობის ასაკიდანვე გამიტაცა და იმ დროიდან თეატრს არ მოვშორებულვარ. სანჩო, გადაუხადე ამ კეთილშობილ ბატონებს. პატივცემულო სენიორ, იმ თქვენი უჩვეულო მისტერიის გათამაშებას თუ მოახერხებთ?

დირექტორი - უპრობლემოდ, ბატონებო! მამ ასე, ახლა შემოგთავაზოთ წარმოდგენას სახელად "სიკვდილი და საშინელი სამსჯავრო". ანგელოზი, სიკვდილი, გლეხი, იმპერატორი და დემონი, ყოველივე ეს, ჩვენს წარმოდგენაში იხილეთ.

სპექტაკლი "სიკვდილი და საშინელი სამსჯავრო"

დონ კიხოტ - სანჩო, კომედიანტები ყოველთვის იმ სარკეში გვახედებენ, რომელშიც თვალნათლივ ასახული ჩვენი ქმედებანი. როგორები ვართ და სინამდვილეში როგორები უნდა ვიყოთ. სიცოცხლისა და სიკვდილის არსს, ასე მკაფიოდ ვერავინ გვიჩვენებს თუ არა კომედიანტი. ფარდა გაიხსნა - ეს დასაწყისი ჩვენი სიცოცხლისა და სიკვდილი - დიადი ფინალი.

სანჩო პანსა - ეჰ... სიკვდილისათვის, ბატონო, სულ ერთია, გინდ ჩვილი იყო, გინდ ბებერი. ეგ ჭირიანი ერთნაირი სიხარულით გლეხის ქოხსაცა სტუმრობს და მდიდრის სასახლესაც. ეგ შობელმადლი, ძალივით გაუმადლარია, სანსლავს და ყლაპავს ყველას ვისაც კი თვალს დაადგავს. საწყისიც და დასასრულიც ერთია ყველასათვის...

დონ კიხოტი - და აი ეშვება ფარდა...

დირექტორი - და აი ეშვება ფარდა, თავრდება ჩვენი სიცოცხლე. სიკვდილი ყველას ჩამოუვლის და გახდის სამოსს - იმას, რითაც განვსხვავდებით ერთმანეთისაგან ამ ქვეყანაზე. საიქიოში კი მამაზეციერის წინაშე ყველანი თანასწორებად წარვსდგებით... დიადი დასასრული... ადამიანის ყოფიერების დასასრული ერთია - სიკვდილს მივყავართ სამარისაკენ... სპეტაკი და უცოდველი არავინაა, ასე რომ რა ლოცვასაც არ უნდა კითხულობდე, რა ღმერთებთან არ უნდა მიგქონდეს ძღვენი, სამარის კართან, ბასრკბილება ცერბერი დაგხვდება!.. *(ახდის ფარდას, გამოჩნდება ლომი)*

დონ კიხოტი - ეს რა არის?..

დირექტორი - გალიაა ბატონო, სადაც მძვინვარე მხეცია დამწყვდეული. ეს ლომია, ბატონო, მხეცთა შორის ყველაზე დიდი მხეცი! ჩვენი წარმოდგენის ნაწილია, ამ ლომის ჩვენებით ბევრ დოყლაპია ბედოვლათს ვაცლით ოქროს მონეტებს.

დონ კიხოტი - ნადირთა მეფე!.. რა დიდია ეს თქვენი მძვინვარე ლომი!..

დირექტორი - იმხელაა, ბატონო, რომ ქვეყანაზე ამაზე დიდი ჯერ არ უნახავთ და არ დაუტყვევებიათ. ორი ოქროს მონეტის სანაცვლოდ, შემოდლია ჩირადნით მივუწვა გვერდები, მაშინვე ღრიალს მორთავს და ეს სანახაობა ნამდვილად გაგამხიარულებთ!

დონ კიხოტი - ახლავე გააღე ეს გალია და მიმიშვი მასთან, თორემ ვფიცავ, ამ შუბით სამუდამოდ მიგაჯაჭვებ ამ ურემზე!

დირექტორი - რას ჩადით, ბატონო! შეჩერდით! გემუდარებით ბატონო, შეგვეშვით, ჩვენ გზაზე წავალთ!..

სანჩო პანსა - ბატონო, შეხედეთ ამ ლომს, მთის ხელაა, ბატონო. გემუდარებით, წავიდეთ, შეეშვით ამ მხეცებთან ბრძოლას ბატონო!..

დონ კიხოტი - განზე განდექ, სანჩო. დაიმახსოვრე, თუკი მე დავმარცხდი, მყისვე გაეშურე ჩემს ქალბატონ დულსინეა ტობოსელთან და მოუყევი ამ უთანასწორო ბრძოლის ამბავი, დანარჩენი კი დიადი ბედისწერის ხელშია!..

სანჩო პანსა - მორჩით ბატონო, შეეშვით!.. დაწყევლოს ეშმაკმა ის დღე, როდესაც დავდექი ამ გადარეული რაინდის მსახურებაში!.. ბატონო!.. გემუდარებით, ბატონო!..

დონ კიხოტი - ნადირთა მეფეო, ბრძოლაში გიწვევ. დასრულდა შენი ტყვეობისა და შეურაცყოფის დღეები. შევებრძოლოთ ერთმანეთს! ამ ბასრი კბილებით დაამტკიცე შენი სიდიადე და დაიცავი წოდება შენი!

დონ კიხოტი გააღებს გალიას, მოეშადება თავდასხმისათვის. ლომი წამოდგება, თვალს გაუსწორებს დონ კიხოტს, ნელა მიუახლოვდება. დონ კიხოტი მიუახლოვდება ლომს. ლომის ცეკვა, ხელს გაუწვდის.

სასოწარკვეთილი დონ კიხოტი მუხლებზე ეცემა.

ბოროტი გლეხი, ცხვრები და ანდრესი

ბოროტი გლეხი - წინ! უკან! წინ! კარგია... კარგია... თავისუფლებასა და მონობაზე საუბრისას, ომახიანად დასჭექოთ: „Non bene pro toto libertas venditur auro !“
...გითარგმნით: „არარსებობს სიმდიდრე, თავისუფლებაზე ძვირფასი“... ან რაღაც ამდაგვარი... და თქვენ? დიახ, თქვენ, თქვენ გჭირდებათ თავისუფლება?.. ნუთუ ის მოგდვრით ბედნიერების შეგრძნებას?! რატომ ირთულებთ ცხოვრებას?! თქვენ ხომ შესაშურად ბედნიერი ადამიანები ბრძანდებით... თქვენ ხომ მშვიდად გძინავთ, დამშვიდებული სინდისით. თქვენ არ გამძიმებთ ფიქრები მომავალზე, გასასტუმრებელ ვალებზე, უიღბლო სიყვარულზე, თქვენი პატარა და საყვარელი კუჭების ამოვსებაზე!.. როგორც ჩანს საერთოდ არაფერი გამძიმებთ! თქვენთვის ყველაფერი უძრავია - დრო თქვენთვის გაშეშდა... არადა როგორ ცდებით... ამ ქვეყანაზე ყველაფერი წრეზე ტრიალებს - ჯადოწრეზე და როცა მოვა ჩვენი დრო, ყოველივე საწყისს უბრუნდება... დაფიქრდით -

გაზაფხულს ზაფხული მოყვება, ზაფხულს შემოდგომა, შემოდგომას ზამთარი და ზამთარს კი ისევ გაზაფხული... ბედის ბორბალი ატრიალებს ჟამთაგვლას და ეს წყეული ადამიანის სიცოცხლე, ქარზე მსუბუქი, ნაპერწკალზე სწრაფი, გარდაუვლად დასაწყისისაკენ ბრუნდება. მეგრამ ჩვენ გულს იმედი გვითბობს! იმედი, რომ სხვა ცხოვრებაში ჩვენ აღვმოცენდებით... აუცილებლად აღვმოცენდებით ლაღნი, და სრულიად თავისუფალნი... ოჰ, იმედები... ეს წყეული იმედები... ასე ვამბობ მე, იმიტომ რომ ასე, ზუსტად ასე ხდება ყველაფერი ამ ბოზ დედამიწაზე!

(ჩნდება ანდრესი)

გლეხი - რამდენჯერ გითხარი, თვალი არ მოაშორო! და ნუ მეტლიკინები!

ანდრესი - გეფიცებით, ბატონო, არაფერი გამიკეთებია! თქვენი ფარისათვის თვალი არ მომიშორებია!

(ჩნდება დონ კიხოტი და სანზო)

დონ კიხოტი - უდიერო რაინდო! როგორ არ გცხვენია - თავს ესხმი მას, ვისაც საკუთარი თავის დაცვა არ შეუძლია! ეხლავე დაეხსენ ამ ბიჭუნას, თუკი სიცოცხლე გწადია!

გლეხი - სენიორ კავალიერო, ეს არამზადა ჩემი ფარების მწყემსია. გამაკოტრა ამ ნადირალამ! ამის გამო ყოველ დღე თითოთითო ცხვარი მაკლდება! ხომ გაგიგიათ - „თესვისას ზოგი მარცვალი გზის პირას დავარდა, გაითელა და ცის ფრინველებმა აკენკეს ისინი“ მე ვსჯი მას უდიერობისთვის, უფრო სწორად ეშმაკობისთვის, ის კი მეუბნება, ტყუილად მაბრალეხო, ჯამაგირი რომ დამაკლოო, ძუნწოო! არადა ბოლო კაპიკამდე მყავს გასტუმრებული ამ პატარა არამზადას ვალი! სენიორ კავალიერო, სანამ დაკარგული ცხვრების ზარალს შრომით არ ამინაზღაურებს, ვამუშავებ და ვამუშავებ ამ არამზადას!

ანდრესი - ტყუის, ბატონო... ჯამაგირი მის დღეში არ მინახავს, ცხვრები კი აქაა, არც ერთი მოაკლდა იმის მერე, რაც ჩამაბარა... მონად ვყევარ, ბატონო, მშიერ-მწყურვალი!..

გლეხი - მონად?! ო, არა, ბიჭუნავ! რამდენჯერ მაქვს შენთვის ნათქვამი, რომ „აქლემი უფრო ადვილად გამძრება ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი შევა ღმრთის სასუფეველში!“ სიმდიდრით მოტანილ ბოროტებას მინდა აგარიდო!

დონ კიხოტი - ბოროტების მსახურო, ცრუობ! მანათობელ მზეს გეფიცები, ამ შუბით გამოგასალმებ სიცოცხლეს! ახალავე გადაუხადე რაც ეკუთვნის და გაათავისუფლე! რამდენი მართებს შენი?

ანდრესი - ცხრა თვის ჯამაგირი, შვიდ-შვიდი ოქრო თვეში...

სანზო პანსა - სამოცდასამი ოქრო.

დონ კიხოტი - უღირსო ფლიდო, სიხარბემ და გაუმადლობამ დაგიბინდა გონება. ახლავე გადაუხადე, თუკი სიცოცხლე გინდა!

გლები - სინდისს გეფიცებით, სენიორ, მაგდენი არ გამოდის - სამი წყვილი ფეხსაცმლის საფასური, რომელიც მან გაცვითა და ავადმყოფობისას, ექიმბაშისათვის სისხლის გამოშვების ერთი ოქრო უნდა გამოიქვითოს!

სანჩო პანსა - ბიჭუნამ ფეხსაცმლის ტყავი თქვენს მსახურებაში გაცვითა, თქვენ კი მას ცოცხლად ატყავებთ, ხოლო სისხლი მას ექიმბაშმა ავადმყოფობისას გამოუშვა, თქვენ მის სისხლს ღვრით, როცა იგი ჯანმრთელია, ასე რომ ბარი ბარში ხართ!

დონ კიხოტი - ყველაფერი გაიგე, უღირსო. გადაუხადე და გაათავისუფლე!

გლები - სენიორ კავალიერო, საქმე იმაშია, რომ ამხელა ფული, თან არ დამაქვს, ხომ გაგიგიათ „ნეტარნი ხართ გლახაკნი“, ასე რომ ბიჭუნას ჩემთან სახლში მოუწევს წამოსვლა, იქ გადავუხდი ყველაფერს, უკანასკნელ მონეტამდე და გავუშვებ. წავიდეს სადაც უნდა! სინდისს გეფიცებით, სენიორ, სინდისს გეფიცებით!

ანდრესი - გემუდარებით ბატონო, ამ კაცთან ერთად არ გამიშვათ. მასთან ერთად თუ დავრჩი, ის წმინდა ბართოლომესავით გამატყავებს!

დონ კიხოტი - ნუ გეშინია ბიჭუნა... დაიმახსოვრე, თავისუფლება, ისევე როგორც ღირსება, იმ უდიდესი სიმდიდრეთაგანია, რომელიც უფალმა გვიბოძა. მას არ შეეძრება არც ის განძი, რომელიც ჩვენი მზერისაგან ღრმად მიწაში ჩამარხული და არც ის, რომელიც ოკეანეს ჰსკერზე დევს. ამისათვის სიცოცხლის გაწირვაც კი ღირს, ვინაიდან ტყვეობა და შეურაცყოფა ყველაზე დიდი დალი და უბედურებაა, რომელიც შეიძლება ატაროს ადამიანმა. წადი და მოიპოვე შენი თავისუფლება, ადამიანო! *(გადიან)*

გლები - ნუ გეშინია, ბიჭუნა, წამომყევი, დიდი სიამოვნებით გადაგიხდი ყველაფერს, რაც გეკუთვნის, ბოლომდე გაგისწორდები. ყველაფერს გეფიცები, მე შენ გაგისწორდები! ბოლომდე გაგისწორდები, ჩემო კარგო! ისე გავასწორებთ ანგარიშს, რომ ენას ჩაიგდებ სამუდამოდ! კეისარს კეისრისაო, ნათქვამია!

ანდრესი - თავისუფლება, ისევე როგორც ღირსება, იმ უდიდესი სიმდიდრეთაგანია, რომელიც უფალმა გვიბოძა.

გლები - გაჩუმდი!..

ანდრესი - მას არ შეეძრება არც ის განძი, რომელიც ჩვენი მზერისაგან ღრმად მიწაში ჩამარხული და არც ის, რომელიც ოკეანეს ჰსკერზე დევს.

გლები - გაჩუმდი მეთქი!..

ანდრესი - ტყვეობა და შეურაცყოფა ყველაზე დიდი დალი და უბედურებაა, რომელიც შეიძლება ატაროს ადამიანმა.

გლები - გაჩუმდი!..

ანდრესი - თავისუფლება, ისევე როგორც ღირსება, იმ უდიდესი სიმდიდრეთაგანია, რომელიც უფალმა გვიბოძა... (საგალობელი) (საშობაოს პონტში) (ბავშვები გაანგელოზდა)

კოცონი

დონ კიხოტი - ეჰ სანჩო, ჩემო ძვირფასო მეგობარო, ჩვენი გარყვნილი დროება არაა ღირსი იმისა, რომ დატკბეს იმ ბედნიერებით, რომლითაც ტკბებოდნენ უწინ, მაშინ როდესაც მოხეტიალე რაინდების მოვალეობა იყო ჭეშმარიტების და სიკეთის სადარაჯოზე ყოფნა. დღევანდელ დღეს კი, უმოქმედობა უფრო დაფასებულია, ვიდრე თავდადება, ცოდვილება მეფობს კეთილშობილების მაგივრად, სიმბდალე, სიმამაცეზე ზეიმობს გამარჯვებას. დღევანდელ დღეს, რაინდთა უმეტესობას აბჯრის ტარებას, აბრემუმებში იყოს გამოწყობილი ურჩევნია, ჭეშმარიტებისათვის ბრძოლას კი, მშვიდ გარემოში, ფუფუნებაში და უმოქმედობაში ყოფნას ამჯობინებს. და მიუხედავად იმისა, რომ ყველას რაინდს გვიწოდებენ, ჩვენს შორის უზარმაზარი სხვაობაა! ვინაიდან კარის რაინდთა გმირობა, სასახლის კარზე ყოფნას წარმოადგენს, ხოლო ჩვენ, მოხეტიალე რაინდები, ყოველგვარი ხიფათისა და გასაჭირის მიუხედავად, სამყაროს სადარაჯოზე ვართ! მოხეტიალე რაინდისათვის მნიშვნელობა არააქვს მტრის სიძლიერეს და სიდიადეს, პირიქით, მოხეტიალე რაინდი უპირობოდ და დაუფიქრებლად მტერთან შებრძოლებაზე გადადის. მყისვე ეკვეთება მტერს, თუნდ სახელი მისი, ლეგიონი იყოს! ამ დიადი და მარადიული ბრძოლის მიზანი კი, სიმშვიდის და ჰარმონიის დამყარებაა. ზუსტად ამიტომ, პირველი ამბავი, რაც ანგელოზებმა მოგვიტანეს იყო "ღმერთს დიდება, წყალობა ადამიანთა მოდგმას, მშვიდობა ამა ქვეყანას"! ასე რომ, ჩემო ძვირფასო მეგობარო სანჩო, ფუფუნებასა და კეთილდღეობას, მოხეტიალე რაინდის ცხოვრება მირჩევნია. ბევრის შეშლილი ვგონივარ, და ამის დასტურია ჩვენის თავგადასავლებზე თხრობილი ამბებია, მაგრამ ღირს კი არა ამაზე ფიქრი, როდესაც სამყაროს ისე, როგორც არასდროს ჭირდება მოხეტიალე რაინდები!

სანჩო პანსა - მითხარით ერთი, ბატონო, და სად არიან ეხლა ეს თქვენი მოხეტიალე რაინდები...

დონ კიხოტი - კერპთაყვანისცემლები, უეჭველად ჯოჯოხეთში არიან. ქრისტიანები კი, რათქმაუნდა, თუკი ისინი ჭეშმარიტი ქრისტიანები იყვნენ, სამოთხეში!

სანჩო პანსა - გასაგებია ბატონო... და ისიც მითხარით ერთი, როგორაა მორთული მათი სამარხები? უნთებენ თუ რა მათ ლამპრებს, მომლოცველები, ურთავენ თუ არა ყვავილებითა და სხვა სილამაზეებით მათ დიად განსასვენებლებს?

დონ კიხოტი - ეს უდავოდ, დიადი სამარხებია სანჩო, მაგრამ ვერც ერთი სამარხის სიდიადე, მათ მიერ ჩადენილ გმირობას ვერ შეედრება. რაინდის მოწოდება არა დიადი ძეგლი, რომელიც ასახელებს მას, არამედ სამარადჟამო სიკეთე, რომელსაც იგი დატოვებს ამ ქვეყანაზე.

გამოქვამული

დონ კიხოტი - რაინდება, ბერობას წააგავს - რაინდთა შორისაც არიან წმინდანები...

სანჩო პანსა - გასაგებია, ბატონო, სადღაც გამიგონია, რომ სამოთხეში არც თუ ისე ბევრი რაინდი ბინადრობს.

დონ კიხოტი - ასეა სანჩო, მართალია რაინდად წოდებული ბევრია, მაგრამ ძალიან ცოტა მადგანს აქვს ამ წოდების ტარების უფლება... *(კედლებზე ფრესკები ჩანს)*

დონ კიხოტი - შეხედე, ეს წმინდა მარტინია, მოხეტიალე რაინდია, მისი სათნოება მის სიდიადეს უთანაბრდება... ეს კი პავლე მოციქულია. ერთ დროს ქრისტიანთა ყველაზე დიდი მტერი, ხოლო შემდეგ დაბრმავების მერე თვალი აეხილა და მაცხოვრის სწავლების ერთ ერთ ყველაზე ძლიერ დამცველად იქცა... შეხედე სანჩო, ეს რაინდი ერთ ერთი ყველაზე განთქმული და დიადი რაინდია ზეციური ჯარის რიგებში. მისი სახელია, წმინდა გიორგი... წმინდა მიწების დამცველი, სიბოროტესთან მებრძოლი...

მთვარის ბილიკი

სანჩო პანსა - ეჰ, ჩემო ბატონო...

დონ კიხოტი - რა იყო, სანჩო?

სანჩო პანსა - შემოგხედეთ ეხლა, როგორი გამხდარი ხართ, ნაბეგვი, სევდიანი... და თავში იმნაირი ფიქრი მომივიდა!.. ისე გამახარა ამ აზრმა, რომ სიხარულისაგან, კინალამ ავტირდი... ოჰ რა რაინდული აზრია, ბატონო! ჭეშმარიტად რაინდული!

დონ კიხოტი - აბა, მითხარი.

სანჩო პანსა - ბატონო, რა იქნება, რომ თქვენ რაინდულ სახელს, დონ კიხოტ ლამანჩელი, წინ დავურთოთ, მწუხარე სახის რაინდი? აბა, ნახეთ, დონ კიხოტ ლამანჩელი, მწუხარე სახის რაინდი!

დონ კიხოტი - კეთილი. იყოს, დონ კიხოტ ლამანჩელი, მწუხარე სახის რაინდი.

კარასკოს მზადება

სასტუმრო

მეპატრონეს ცოლი - ღმერთო, მომაშორე ეს უნიათო! მიშველეთ, ხალხნო! ამ ურჩხულის ხელში, დავჭკნი ეს ვარდივით გოგო! ასეთი უხეირო და უბედური რამ გაგაჩინა ამ ქვეყანაზეა?!

მეპატრონე - რა ეშმაკმა გაგაჩინა, შე გველო?! ალქაჯის ნაშიერო! გაჩუმდი, გველის ენავ, კაცი მოდის, ნუ მარცხვენ ხალხში, შე ეშმაკის კუდო! რით შემიძლია გემსახუროთ, სენიორ?

კარასკო - განსაკუთრებულ სტუმარს უნდა დახვდეთ - გაგიჟებული ადამიანია, რომელიც საკუთარი ფანტაზიების და ოცნებების ტყვეობაშია! მე ვიცი, როგორ დავამარცხო ეს სენი - დავანახებ და დავაბრუნებ მას რეალობაში და ეს განკურნავს მას და ნორმალურ ადამიანად აქცევს! მთავარია, ამ გეგმის ყოველმა ჭანჭიკმა დროულად იმოდრავოს! ყველაფერი ისე უნდა გააკეთოთ, როგორც გიბრძანებთ! ერთგულებისათვის მეფურად დაგასაჩუქრებთ, როცა საქმე გაკეთებული იქნება!

სატუმროს მეპატრონე - ბატონი ბრძანდებით.

მეპატრონეს ცოლი - უნიათო! ტლანქო მხეცო! მძორო! რასაც არ უნდა აკეთებდე, ბოლო მაინც ერთია! რა ცოდვებისათვის მომისაჯე ეს უნიათო, ღმერთო!

მეპატრონე - გველის ენავ! მორიელის კუდო! ქალი კი არა, ალქაჯი ხარ! შეხედე, ის კაცი მოდის, ნუ ამირევ ეხლა ყველაფერს, თორე კაცობას ვფიცავ, ჩემ თავზე პასუხს არ ვაგებ!

მეპატრონეს ცოლი - აჰა! შეხედე, ხალხნო, შეხედე! უხეიროს გროში ჯიბეში ჩაუვარდა და გარღვეულშიო! ფული წინასწარ უნდა გამოგერთმია! ეს ვის გადამაყარა ბედისწერამ! რა გოგო ვიყავი, სანამ ამ უხეიროს გადამაყარა ბოროტმა იღბალმა! გაგეყრები დღესვე! შემომხედეთ ხალხნო რა გოგო გავფუჭდი!

სატუმროს მეპატრონე - გაჩუმდი დედაკაცო! ნუ შეყარე ქვეყანა! მეტი რა ჯანდაბა გავაკეთო რა კედელს ვეტაკო! ჰოი დედაკაცნო! არარაობა უნდა გერქვათ თქვენ!

დონ კიხოტი - შეხედე სანჩო, კეთილშობილი ქალბატონი თავის მეუღლეს, სავარაუდოდ ჰერცოგს ან უარეს შემთხვევაში პატივცემულ სენიორს სატრფიალო ლექსის გზით, მარადიულ სიყვარულს ეფიცება.

დონ კიხოტი - ამ სასახლის პატრონი სად შეიძლება ვნახოთ? თქვენ გეკითხებით, სასახლის პატრონის ნახვა, სად შეიძლება?

სატუმროს მეპატრონე - აქაურობის ბატონ-პატრონი მე ვარ.

დონ კიხოტი - სენიორ, ჩვენ ველოდით, რომ სასახლის გალავანზე, ჯუჯა გამოჩნდებოდა და აქაურობას ჩვენი მობრძანების შესახებ აუცყებდა!

მეპატრონეს ცოლი - ეუფ!.. სამწუხაროდ ყველა ჯუჯა დაკავებულია.

სანჩო პანსა - კეთილშობილო ქალბატონებო და ბატონებო, ჩემი მბრძანებელი, მოხეტიალე რაინდი დონ კიხოტ ლამანჩელი, მშვენიერი დულსინეა ტობოსელის მოტრფიალე, გთხოვთ, სტუმართმოყვარეობა გამოიჩინოთ ჩვენს მიმართ!

დონ კიხოტი - იმედია, კეთილშობილო სენიორ, უარს არ გვეტყვი.

სატუმროს მეპატრონე - გიჟი ღვთის კაცია... ჩემი სასახლე თქვენს განკარგულებაშია.

დონ კიხოტი - ბატონო ჩემო, ნება მომეცით, თხოვნით მოგმართოდ, და იმედი მაქვს დაეხმარებით მოხეტიალე რაინდს.

სატუმროს მეპატრონე - თქვენნაირ კეთილშობილ ბატონს როგორ ვეტყვი უარს...

დონ კიხოტი - ბატონო ჩემო, მოგეხსენებათ, მოხეტიალე რაინდის სამოსი - მისი აბჯარია, დასვენება - გააფთრებული ბრძოლაა, სანოვაგე - კლდის ლოდია, ხოლო ძილი მისი - გარიჟრაჟამდე ოცნებაა. ასე რომ, განძრახული მაქვს, იარაღით ხელში, აბჯრით შემოსილი, აქურ სამრეკლოში გავათენო ღამე. მივეცემი ფიქრს რაინდობის არსზე და ჩემი გულის მეუფეზე - ქალბატონზე, რომლის სილამაზე და კეთილშობილება შეუდარებელია, ბრწყინვალე და უმშვენიერეს დულსინეა ტობოსელზე.

სატუმროს მეპატრონე - ბატონი ბრძანდებით. სამრეკლო იქეთაა, ოგონდ ფიქრისას არ იხმაუროთ, სენიორები ჩამობრძანდნენ ახლახანს და ისვენებენ მგზავრობის შემდეგ. ხმამაღალი ფიქრები სიზმრებს დაუფრთხოვენ. უხასიათოდ გაღვიძებულებს კი ჩემმა მტერმა ემსახურა.

დონ კიხოტი - ბატონი ბრძანდებით. *(დონ კიხოტი გადის)*

სანჩო პანსა - კარგ ვახშამზე უარს არ ვიტყვოდი, კუჭი ზურგზე გადამეწება და ისე ზმუის, ბოსელში შევარდნილი ხარი გეგონება. რას შემომთავაზებთ?

მეპატრონეს ცოლი - რასაც თქვენი სული და გული ინებებს, ჩიტის რზე რაა?! იმასაც არ მოგაკლებთ, ბატონო.

სანჩო პანსა - ამდენი არ გვჭირდება, ორი წიწილა, ნახევარი თავი ყველი, პური და დოქი ღვინო, საკმარისი იქნება. დღეს მსუბუქად მინდა ვივახშმო.

მეპატრონეს ცოლი - წიწილები... არ გვაქვს, ჩამობრძანებისას ბატონებმაც გადაწყვიტეს მსუბუქად წაევახშმად... სულ გადასანსლეს... წიწილების გარდა, ყველაფერია, სულიკო.

სანჩო პანსა - ჰმ... მაშინ უბრძანე ცხვრის ხორცი მომიტანონ, ცხვარს ეს ურჯულო ბატონები არ გაეკარებოდნენ - სულსა და მუცელს დაუმძიმებდა.

მეპატრონეს ცოლი - ცხვარი... ამ წუთისთვის ცხვარიც გათავდა... ბატონებმა კი იუარეს, მაგრამ მათი მსახურები გულსაც და მუცელსაც იოლად იმძიმებენ ცხვრის ხორციითა...

სანჩო პანსა - ვირთევზა ხომ მაინც გექნება, დედაკაცო! ამ საზიზღრობას ჩემნაირი გაჭირვებულის გარდა, ხომ არავინ გაეკარება.

მეპატრონეს ცოლი - ნამდვილად... ალბათ... იქნება... იმედია... არაა... ვირთევზა იყო და გათავდა - მსახურების მსახურებმა გათხვლიპეს რაც კი ეყარა საკუჭნაოში. სამაგიეროდ შემძლია შესანიშნავი ჩლიქების წვნიანი შემოგთავაზოთ, ხახვითა და დაფითაა შეკაზმული და ისე გემრიელად გამოიყურება, რომ...

სანჩო პანსა - ვიღებ, და კაციშვილი არ გააკარო ჩემ წვნიანს! მსახურების მსახურებივით კი არა, თავადურად გადავიხდი! მოიტანეთ და ერთი დოქი ღვინოც გამოიყოლე, დედაკაცო! მეფური სუფრაც ამას ქვია! (*შემოდის მეპატრონე, სუფრა იშლება*) მებრალეები ძმობილო, ასეთ ცოლს მე ვერ გავუძლებდი და მომკალი. ისე, წესიერ ქვეყანებში, ოჯახად ყოფნის ვადა კანონის ვალდებულებით უნდა შემცირდეს. ყოველ ორ-სამ წელიწადში ქორწილები უნდა გაბათილდეს, აი როგორც საიჯარო ხელშეკრულებები, ხოლო ამის შემდეგ სურვილის მიხედვით განახლდეს. ხოდა ეს ქორწინებები სამარადჟამო სასჯელსაც აღარ დაემსგავსება!..

სატუმროს მეპატრონე - ოჰ, სულიკო, რა ბრძენი კაცი ბრძანდებით. ნეტავ დიად ბედისწერას თქვენნაირი ადამინი გამოეგზავნა. მოსამართლედაც ხომ ივარგებდით და ჩემი ნება რომ იყოს, გუბერნატორადაც კი აგირჩევდით...

სანჩო პანსა - ეჰ, მეგობარო, ეგა თქვი! ჩემი ჭკუის და გაქანების კაცი ახლა ჩლიქების წვნიანს უნდა ჭამდეს! მაგრამ აქაურობის გუბერნატორი რომ გავხდე, ბევრი ბეჭდიანი ქალაღია საჭირო! პატრონობა რომ განდონ, ბეჭდიანი ქალაღების დასთა უნდა მოყვებოდეს!

სატუმროს მეპატრონე - ჩემო კარგო, პატრონი ადამის დროიდან თვალით არ გვინახავს. აბა დაფიქრდით, ვინ უნდა უპატრონოს ამ ღვთისაგან მივიწყებულ მხარეს? ბეჭდიანი ქალაღების მეტი რა უგზავნიათ, განათლებული ხალხიც დაუნიშნიათ გუბერნატორებად, მაგრამ... (*სასატუმროს მეპატრონეს ჩაეძინება*)

სასატუმროს მეპატრონეს სიზმარი

სატუმროს მეპატრონე - ... ამ უთავბოლო ქვეყანაში, ბოლო ბოლო ყველა გუბერნატორი გაიძვერა და ფლიდად იქცევა... დაე ახლა ფლიდი იქცეს გუბერნატორად! ადამიანებო, შეეგებეთ სენიორ გუბერნატორს, რომელიც ამ უიღბლო მხარეში წესრიგსა და მშვიდობას დაამყარებს!

სანჩო პანსა - კარგი, კარგი. მომიტანეთ კანონების წიგნი! ეს წიგნი დასაჯდომად გამომადგება. გლახაკისათვის ეს წიგნი ფარად არ გამოდგება, დიდგვაროვანისათვის კი ეს წიგნი არ დაწერილა. მაშ ასე, ამ საქმეებს ჩემი ჭკუით გავჭრი და გავკერავ. დაე ღმერთი იყოს ჩემი მფარველი და შთამგონებელი! აბა ძმებო, გისმენთ!

სატუმროს მეპატრონე - შევეგებოთ გუბერნატორს!

მეპატრონეს ცოლი - ბატონო გუბერნატორო, სამართლიანობას ვითხოვ! შუადღეს, მინდორშიო ამ კაცმა, ძალით ის წამართვა, რაც ქალისათვის ყველაზე დიდ განძადაა მიჩნეული!

სანჩო პანსა - რაო? ხმა ამოიღე, შე ბრიყვო!

სასტუმროს მეპატრონე - ბატონო გუბერნატორო, შევხვდი, საქონელი მივყიდე, კარგად გადამიხადა, მაგრამ ის რასაც მაბრალეებს ეს დედაკაცი, ძალით კი არა, პირიქით, მისი სურვილითა და თხოვნით მოხდა! გეფიცებით, ბატონო გუბერნატორო!

სანჩო პანსა - ვაი, შე გლახაკო! რაც გადაგიხადა, თან გაქვს?

სასტუმროს მეპატრონე - კი, თან მაქვს...

სანჩო პანსა - ხოდა დაუბრუნე ახლავე!

მეპატრონეს ცოლი - მადლობელი ვარ! დიდება გუბერნატორს!

სანჩო პანსა - წადი ახლა, ქალო, შე გახარებულო! (**მეპატრონეს ცოლი ქრება**) ო, ღმერთო, ეს რა შეცდომა მომსვლია! გაეკიდე და უკან გამოართვი ეს ფული!

მეპატრონეს ცოლი - ბატონო გუბერნატორო, ფულის წართმევას მიპირებდა, თქვენ რომ კანონით მიმაკუთვნეთ!

სანჩო პანსა - შენ რომ შენი პატიოსნებისათვის ასე გებრძოლა, ჰერკულესსაც კი დააგდებდი ბეჭებზე! როგორ გაგაბრიყვა, შე საცოდავო! შენ, ბრიყვო, მარიამ ღვთისმშობელს სამი სანთელი დაუნთე, ასეთი ბრძენი მოსამართლე რომ შეგახვედრა! დროა ცოლი გამოცვალო, ძმობილო, თორე ეს დედაბერი საბოლოოდ გაგატყავებს და ხახამშრალს დაგტოვებს! მუსიკა! (**სიკვდილის სუფრა იშლება. ზეიმია**)

სანჩო პანსა - ძმობილო... ძმობილო... (**სასტუმროს მეპატრონე იღვიძებს**)

სასტუმროს მეპატრონე - არა! არა და არა! არა, ბატონო, თქვენ ასეთ საქმეში არ გამოდგებით! არც მეხვეწოთ და არც შემუდართო!.. რმერთმა დაგვიფაროს თქვენისთანა ბატონისაგან!

სანჩო პანსა - მომისმინე, ძმობილო, ჩემს გვარში ბატონები არასოდეს ყოფილან. მამაჩემს სანჩო ერქვა, ბაბუაჩემსაც და ბაბუაჩემის ბაბუასაც. ჩვენს დღეთამოსწრებიდან პანსას გვარს პატიოსნურად და ამაყად ვატარებთ და სამყაროს აღსასრულამდე ასე იქნება, ამინ! ასე მგონია ამ ქვეყანაზე იმდენი ბატონი გამრავლდა, რომ საბატონო აღარ შერჩენიათ... ღმერთმა შეუნდოთ. თქვენს წინაშე კი ერთი ჩოჩორის და გადარეული პატრონის მქონე უწიგნური კაცია. ერთი წესიერი და უბრალო კაცი ვარ - გაიძვერულ საქმეში მე არ გამოგადგები! არც მეხვეწო! არა! არა და არა! წავედი, ჩემ გადარეულ რაინდს დავხედო, რამე ხიფათს არ გადაეყაროს... აბა, ღმერთი თქვენსკენ.

ღამის თევა სამრეკლოში

დონ კიხოტი - მთვარეო, ვერცხლისფერო მანათობელო ღამისავ, სიმდიდრეო და ნუგეშო რაინდისა, წყვდიადის გამაპობელო, მოგვეც ჩვენ სიმშვიდე, ვითარცა უწინ. ჭემმარტად, ნეტარ არის ის დრო, რომელსაც ძველებმა ვერცხლის ხანა უწოდეს. იმ დროს უცხო იყო ცნება "ჩემი და შენი" - იმ დალოცვილ დროს ყველაფერი საერო იყო... იმ დროს მთელ დედამიწაზე სამართლიანობა და სიყვარული სუფევდა. მაგრამ გავიდა დრო და დედამიწაზე სიბოროტემ, - სიბნელემ დაისადგურა. მოხეტიალე რაინდთა ორდენი რწმენის და სიყვარულის სადარაჯოზე დადგა და დღემდე ერთგულია ამ მრწამსებისა. ოჰ, დულსინეა, მბრძანებელო ჩემო! სილამაზის და სიბრძნის გვირგვინო, კეთილშობილებისა და სისპეტაკის განასახიერებავ! ნეტავ რაზე ფიქრობ ამ წუთას? იქნებ შენი ფიქრები, შენს ერთგულ მოხეტიალე რაინდთანაა, რომელიც შენი გულისათვის საკუთარ სიცოცხლეს, ასეთ ხიფათხეში იგდებს! ოჰ, მთვარეო, ყოვლისმხილველო მზერაო, მიაძებე ჩემი დულსინეას ამბავი!

სანჩო პანსა - ჩლიქები...

დონ კიხოტი - ჩლიქები?

სანჩო პანსა - ჩლიქები მოგინატეთ, ბატონო... *(გამოჩნდებიან დიდგვაროვანი, ინკვიზიტორი, ქალი და სხვა)*

დიდგვაროვანი - ჩირაღდნები! მუსიკა! აჭამეთ! აჭამეთ ამ უბედურებს! ეი, მასხრებო, გატენეთ მუცლები! გართობა საუცხოო გამოვიდა! არარსებობს უკეთესი გასართობი, ვიდრე მეამიტი და სულელი მასხარა! ამ ტილიანი სოროს მეპატრონემ შესანიშნავი საჩუქარი გაგვიკეთა! ეგ ბებერი მასხარა, მართლაც შეუდარებელია! მიირთვით.

სანჩო პანსა - ნავახშმები ვართ

ინკვიზიტორი - ჩემო ბრწყინვალე ბიჭუნავ, ამ ხუმრობამ უბედურებამდე არ მიგიყვანოთ...

დიდგვაროვანი - დამშვიდდით, თქვენო ბრწყინვალეებავ, ეს ხომ უბრალოდ ერთი გიჟი ბრიყვის გამასხარავებაა! ძალიან გვახალისებთ! ეს გულიანი სიცილი და ეს ტაში თქვენ პატიოსნად დაიმსახურეთ. მიირთვით.

დონ კიხოტი - ... ვმარხულობ

ინკვიზიტორი - თქვენნაირი გამართობი, ნამდვილი იშვიათობაა! ერთდროულად ამდენი უაზრობა, თანაც ერთი ტვინიდან შობილი ჯერ არ მსმენია! თქვენ კომედიის დიდოსტატი ბრძანდებით!

დონ კიხოტი - თქვენო ბრწყინვალეზავ, გთხოვთ ამიხსნათ თუ რა აღმოაჩინეთ ჩემში ისეთი, რაც უფლებას გაძლევთ მასხარა მიწოდოთ. ნუთუ საკმარისია, ძვირფასი სამოსი გეცვას იმისათვის რომ გაანადგურო და განკიცხო მოყვასი?!

სანჩო პანსა - მართალია

ინკვიზიტორი - ნეტავ ვინ შთაგაგონა შენ სულელო, რომ რაინდი ხარ?! როგორ იფიქრე შენ ბებრო, გაძვალტყავებულო საფრთხობელა, რაინდი უწოდო თავს, იხეტიალო ამ ცოდვილ მიწაზე და გვიქადაგო ეს სისულელები?!

დონ კიხოტი - თქვენი აზრით, უნაყოფოა და აზრდაკარგული, მოხეტიალე რაინდად კურთხეულმა სიბოროტეს ებრძოლო, უარი თქვა ამა ქვეყნის სიამოვნებაზე, თესო სიკეთე და ამით მოიპოვო უკვდავება. დაე მიწოდეთ გიჟი, ამას მნიშვნელობა არა აქვს.

სანჩო პანსა - მართალია

დიდგვაროვანი - არ გაგვიბრაზდეთ ამ კომედიის გამო. თქვენ თვალნათლივ გვიჩვენეთ, რომ ეს თქვენი კითილშობილური საქმენი, ღიმილის მემღვრელია და ეს თქვენი ერთგულების ფიცი სასაცილოა... და სიყვარული? ეს ხომ უბრალოდ ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფია.

დონ კიხოტი - მე დამცირებულებს ვიცავდი, ვომობდი არასამართლიანობასთან, ვიბრძოდი თავისუფლებისათვის და ურჩხულებს ვამარცხებდი. მე მოხეტიალე რაინდი ვარ, დონ კიხოტ ლამაზელი, მწუხარე სახის რაინდი, მშვენიერი დულსინეა ტობოსელის ხატების ერთგული მსახური და თუ ღმერთმა ინება, სამუდამოდ ასეთად დავრჩები.

ინკვიზიტორი - შე საცოდავო, სულელო მასხარა! ნუთუ შენ თვითონ ვერ ხვდები, რომ ეს შენი კეთილშობილური საქმენი, ეს ერთგულების ფიცი სასაცილოდაც არ ყოფნის ადამიანებს. სანამ ერეტიკოსობაში არ დაგდეთ ბრალი და ინკვიზიციის სასამართლოს წინაშე არ დაგაყენეთ, მოეშვი ამ ბოდვას და გაეთრიე აქედან! სახლში დაბრუნდი შე ბებერო გიჟო!

დიდგვაროვანი - მიიღეთ მცირეოდენი გასამჯელო ასეთი კარგი გართობისთვის, და...

დონ კიხოტი - ურჩხულებო! შეაჩეროთ ეს ბოროტება! თორემ მოხეტიალე რაინდის, დონ კიხოტ ლამაზელის რისხვას ვერ გადაურჩებით!

სანჩო პანსა - ნუ უსმენთ, ბატონო, ის ბოდავს, ბოდავს !..

სანჩო პანსა - გონს მოდით, ბატონო! სახლში დავბრუნდეთ, მეურნეობას მივხედოთ და სიბერეზე ვიფიქროთ! მოეშვი ამ ცოდვილ მიწაზე ხეტიალს, განა ვერ ხვდებით, ბატონო...

ინკვიზიტორი - ერეტიკოსებო! მადლობა თქვით, რომ თვალები არ დაგთხარეთ, ეგ შენი ენა კი, მაგ უკბილო პირიდან არ ამოგაძრე! რაინდი კი არა, ერეტიკოსი ხარ! ცეცხლი არ აგცდება! ჩვენ სასტიკად ვჯით ყველას, ვინც შეურაწყოფას გვაყენებს! ინკვიზიციის სახელით ვბრძანებ, სანამ კოცონზე არ დაგწვი, დაბრუნდი იმ შენ საცოდავ ლა მანჩაში, პატივსაცემ და წარჩინებულ ადამიანებს კი შეეშვი! ახიკე ეს ნასუფრალი და გაეთრიე აქედან!

დონ კიხოტი - ურჩხულებო! მე შევაჩერებ ამ ბოროტებას! ლელილიეს!

ქალი - შეჩერდით!..

დონ კიხოტი - დულსინეა...

ქალი - გაჩუმდით... სასწრაფოდ გაეცალეთ აქაურობას.

დონ კიხოტი - მთელი ჩემი ცხოვრება თქვენ გემებდით, ჩემო დულსინეა...

ქალი - ნუ მიწოდებთ ამ სულელურ სახელს და სასწრაფოდ წადით აქედან!..

დონ კიხოტი - ჩემო გულის მეუფე... ჩემო მანათობელო ვარსკვლავო...

ქალი - მე თქვენი გულის მეუფე არ ვარ და არც მანათობელი ვარსკვლავი...

დონ კიხოტი - ჩემო მბრძანებელო, ჩემო დულსინეა!..

ქალი - ნუ მიწოდებთ ამ სახელს! სწრაფად წადით აქედან და არასდროს დაბრუნდეთ!

დონ კიხოტი - ქალბატონო... ეს სახელი ხომ თქვენია...

ქალი - ეს ჩემი სახელი არაა!.. არც არასდროს ყოფილა და არასოდეს გახდება ჩემი! წადით!

დონ კიხოტი - ცდებით, მშვენიერო ქალბატონო, ცდებით...

ქალი - მე არ ვცდები თქვენ კი გიჟად შეგრაცხავენ. მიიღეთ ეს დამარცხება, წადით და აღარასდროს დაბრუნდეთ!

დონ კიხოტი - მთელი ჩემი ცხოვრება თქვენ გემებდით! თქვენი მშვენება, თქვენი სისპეტაკე და კეთილშობილება, ჩემთვის მანათობელი ვარსკვლავით მინათებდა გზას ყოფიერების ეკლიან გზაზე... მშვენიერო ქალბატონო, თქვენი ხატება სამუდამოდაა აღბეჭდილი საბრალო მოხეტიალე რაინდის გულში და მთელი ჩემი ცხოვრება ამ ხატებას პირნათლად ვემსახურებოდი.

ქალი - თქვენ გულს, არაფერი გაეგება...

დონ კიხოტი - მას ყველაფერი ესმის, სენიორა! ქალი, მამაკაცის დიდებაა, მისი სული, მისი არსი...

ქალი - თქვენ გიჟი ხართ! გიჟი... გიჟი... რა გინდათ ჩემგან?!

დონ კიხოტი - არაფერი...

ქალი - ეს სიცრუეა! ყველაფერი სიცრუეა! ყველაფერი!

დონ კიხოტი - სენიორა!.. მინდოდა მეთხოვა სენიორასათვის, მომცეს უფლება ვემსახურო მას, ვემსახურო პირნათლად, მივუძღვნა მოხეტიალე რაინდის ყოველი გამარჯვება, ხოლო დამარცხებისას, მის ხატებას მივმართო ნუგეშისათვის. და თუკი სიცოცხლე დიდ ხანს არ მიწერია, მე მას მშვენიერი დულსინეა ტობოსელის სახელით შევწირავ ბოროტ ბედისწერას...

ქალი - რატომ მექცევით ასე?..

დონ კიხოტი - როგორ, სენიორა?..

ქალი - თქვენ მე მანადგურებთ, თქვენ მე ცოცხლად მფერფლავთ!

დონ კიხოტი - არა სენიორა, ცდებით... თქვენ მე სიცოცხლეს მირჩვენებთ...

ქალი - ეს სიცოცხლე, ღვთის შეცდომაა! ჩვენ კი ამ არარაობში გადასარჩენად ვართ გაჩენილები! დიადი რაინდი! მშვენიერი ქალბატონი! სიყვარული! ყოველივე ეს სიცრუეა!

დონ კიხოტი - გულის სიღრმეში სენიორა სულ სხვანაირად ფიქრობს...

ქალი - ჩემი გულის სიღრმეში ისეთი რამ ხდება, რის გამოთაც ცოცხლად უნდა ვიწვებოდე ჯოჯოხეთის ალში! თქვენ კი გიჟად ჩაგთვლიან და ცოცხლად დაგმარხავენ...

დონ კიხოტი - ამას აღარავითარი მნიშვნელობა არააქვს...

ქალი - მაშ რას აქვს მნიშვნელობა?..

დონ კიხოტი - მნიშვნელობა აქვს, პირნათლად ასრულებდე შენ ალექსას, ერთგული იყო შენი მრწამსისა, გიყვარდეს ადამიანები და სიკეთეს თესდე. არასოდეს ნებდებოდე, აღმერთებდე მარადიულ სიყვარულს და ბოროტებით დაავადებულებს კურნავდე... არაფერს, სენიორა, თუკი ბოროტებამ შენს გულში სამუდამოდ დაისადგურა, თუკი უარყავი სიკეთე და სიყვარული, რაც უზენაესმა გვიბოძა და რითაც გვატარებს ამ წყვილიადში, თუკი სხვა ადამიანებში მხოლოდ სიბოროტეს და სიბნელეს ხედავ, ვინაიდან საკუთარ ანარეკლში ხედავ მხოლოდ და მხოლოდ იგივეს, არაფერს, თუკი უარყავი სიცოცხლე და არსებობად აქციე ეს ყოფიერება... მაგრამ თუკი შენს გულში იპოვი იმ ნათელს, რომელიც მოგანიჭებს ძალას ბოროტებას ებრძოლო, უიმედობით დაავადებულები განკურნო, დაე შეგრაცხონ გიჟად, სიკვდილის პირას მისულმა ერთგული დარჩე შენი ალქმისა, არ დანებდე და არ დაკარგო რწმენა, შეიყვარო ადამიანი, შეიყვარო ისეთი, როგორც ის შექმნა უზენაისმა, გწამდეს მარადიული სიყვარულის, მაშინ!..

სარკეებიანი რაინდი

კარასკო - არის აქ თუ არა ის, ვინც საკუთარ თავს დონ კიხოტს ლამანჩელს უწოდებს?

დონ კიხოტი - მე ვარ დონ კიხოტ ლამანჩელი, მწუხარე სახის რაინდი!

კარასკო - დიადო და დაუფასებელო, მე სარკეებიანი რაინდი ვარ. განძრახული მაქვს შეგებრძოლო, რათა დაგამარცხო და გაიძულო აღიარო სიმართლე. შენ უნდა აღიარო, რომ ყოველივე, რასაც შენ აკეთებდი, უაზრო და უნაყოფოა! რომ დულსინეა ტობოსელი არ არსებობს! რომ შენი გიჟური ახირებები ამახინჯებენ სინამდვილეს! და თუკი შენ ამას აღიარებ გადაურჩები სამარცხვინო დამარცხებას და სიკვდილს. ხოლო თუკი ჩემთან შებრძოლებას გადაწყვიტავ და მე დაგამარცხებ შენ, მოგიწევს დაყო იარაღი და სამუდამოდ დაემშვიდობო მოხეტიალე რაინდის ცხოვრებას. შენ დაბრუნდები სახლში, იქ კი სიბერეზე და შენი სულის უკვდავებაზე მიეცემი ფიქრებს.

დონ კიხოტი - შენ?! როგორც იქნა!.. რაინდო, მე ვიღებ შენს გამოწვევას და ეხლავე შეგებრძოლოთ ერთმანეთს. რწმენა ჩემი - ურყევია, დულსინეა ტობოსელი, უმშვენიერესი და უკეთილშობილესი ქალბატონია, მე მწუხარე სახის რაინდი, დონ კიხოტ ლამანჩელი ვარ, ჩემი გზა, ჭეშმარიტია. მა გაიძულებ დამარცხებულს, ღვთის წინაშე აღიარო ეს! დავიწყოთ.

კარასკო - მაშ ილოცე! (შებრძოლება. რაინდი დაანარცხებს დონ კიხოტს ძირს) შეხედე დონ კიხოტო, რეალობის სარკეში იყურე! დროა რეალობას გაუსწორო თვალი და დაინახო ყველაფერი ის, რასაც სინამდვილე ქვია! რას ხედავ ამ სარკეში?! დიად რაინდს?! კარგათ შეხედე და ანარეკლში, შენ უძღურ, გაგიჟებულ ბებერს დაინახავ! დაბრუნდი სახლში, და მშვიდ სიბერეზე იზრუნვე, ესაა შენი ხვედრი! შენ დამარცხდი!

დონ კიხოტი - მე, დონ კიხოტ ლამანჩელი, მწუხარე სახის რაინდი...

კარასკო - საკმარისია.

სახლი, დონ კიხოტის საძინებელი.

სანჩო პანსა - ჩემო ბატონო!.. არ ვარგა ასე, ბატონო... ცრემლი მახრჩობს, ბატონო... რა იქნება რო წამოდგეთ, ბატონო ან მომიყვით რამე ამბავი... ჩემო ბატონო...

ქალი - სენიორ... ეს მე ვარ, სენიორ... ნუთუ ვერ მიხსენებთ?... თქვენ მე გულის მეუფეს მიწოდებდით... იქ... თქვენ არაფრის გემინოდათ, სენიორ... რა გემართებათ?..

(უჩინარდებიან)

კარასკო - შეიგნეთ, სენიორ! არ არსებობენ გოლიათები, ჯადოქრები, ურჩხულები, მთელი მსოფლიო რომ მოიაროთ, ვერც ერთ რაინდს ვეღარ ნახავთ! ჩვენს განათლებულ საუკუნეში, მთელ მსოფლიოში დიდი ხანია ჩვეულებრივი ადამიანები ცხოვრობენ...

დონ კიხოტი - ნასწავლი ადამიანი ბრძანდებით, და როგორ ცდებით... ქვეყანა სავსეა ბოროტი ურჩხულებით და თქვენ მათ ყოველდღე ხვდებით... ყო-ველ-დღე...

კარასკო - სენიორ, ცხოვრება ფილოსოფიური სიმშვიდით უნდა მიიღო, როგორც ამას საუკუნოვანი გამოცდილება გვასწავლის... ცოცხალი რომ ხართ, რომ სუნთავთ და გძინავთ, თავისთავად უდიდესი ბედნიერებაა. დაივიწყეთ ყველაფერი და უბრალოდ იცხოვრეთ, სენიორ!

დონ კიხოტი - არა... არა... ეს ასე... არ არის... ასე არ შეიძლება... არა...

კარასკო - მე თქვენ ფაქტებზე დაყრდნობით გესაუბრებით. სენიორ კიხანა, ადამიანმა ცხოვრება ისეთად უნდა მიიღოს, როგორცაა ის სინამდვილეში! დღევანდელ დღეს, უაზრობაა მოხეტიალე რაინდი უწოდო თავს, იარო და სიბოროტეს ებრძოლო, უარი თქვა ყველაფერზე ყველასათვის გაუგებარი იდეალების გამო. მიიღეთ ეს ცხოვრება ისეთად როგორცაა!

დონ კიხოტი - მე მინახავს ცხოვრება ისეთი, როგორცაა სინამდვილეში - ტანჯვა, სიღატაკე, შიმშილი, უკიდურესი სისასტიკე...

კარასკო - მესმის სენიორ, მართალი ბრძანდებით, მაგრამ დამიჯერეთ, სხვა დროა! აღარავის ჭირდება ჭეშმარიტების დამცველი მოხეტიალე რაინდები! ყოველივე ეს უბედურებას მოგიტანთ, სენიორ. თქვენი ჭეშმარიტებისათვის ეს დაუნდებელი ადამიანები გიყად შეგრაცხავენ და ჯვარს გაცმევენ!

დონ კიხოტი - თქვენი სიმართლე, ჩემს სიგიჟეზე უფრო დამლუპველია... და რა არის სიგიჟე? - მთელი სამყარო ერთ დიდ საგიჟეთადაა ქცეული. გაიხედეთ, სენიორ კარასკო ომი, სიღატაკე, მოყვასის სიძულვილი.... როდესაც ადამიანები იღუპებიან სასაკლაოზე, ან ტყვეობაში ესალმებოდნენ სიცოცხლეს - ეს სიგიჟეა, როდესაც ადამიანის თვალებში იკითხება, რომ მისი სიცოცხლე არსებობადაა ქცეული - ეს სიგიჟეა... როცა ადამიანი ყრის ფარხმალს და კარგავს რწმენას - ეს სიგიჟეა... მაგრამ ნამდვილი სიგიჟეა, უარყო სიყვარული და უარი თქვა ჭეშმარიტებაზე... ადამიანი უნდა იბრძოდეს, ადამიანს უნდა სწამდეს, ადამიანი არ უნდა ეგუებოდეს და ლეზულობდეს ცხოვრებას ისეთად, როგორცაა!..

ფინალი - ამაღლება

ფარდა